25/07/2025

MES 5 25 0000912687

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.07.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:29 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (I, II, III, IV, VII, VIII, IX, X, XI)
სხდომის თავმჯდომარე: ციური დურული (V, VI)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
11. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
13. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:

- მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო შოშიტაშვილი - ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- თეა ქოიავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ;
- ირაკლი გორგილაძე - იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ლაშა ბაჟუნაიშვილი - "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

- ივანე ჯაგოდნიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

- ალექსანდრე სიჭინავა - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ;
- ეკატერინე შაკიაშვილი - "საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ხათუნა ჩაფიჩაძე - „ევროპისმცოდნეობის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ემზარ ფაჟავა - „ევროპისმცოდნეობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- თამარ კიკნაძე - პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- **ნინო ქიმერიძე -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
- **დარეჯან გადრავაძე -** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

- მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- გიორგი კაკაშვილი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ოლან გოცირიძე - "მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- დავით მაღრაძე - "მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

- გიორგი მახარაშვილი - მედიცინის სკოლის დეკანი;
- ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში;
- ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

აკრედიტაციის ექსპერტები
მაგდა მემანიშვილი (I საკითხი)
თინათინ გაბრიჩიძე (I, II საკითხი)
ირაკლი ჩხაიძე (II, III, IV საკითხი)
ლეილა გრიგოლია (V, VI საკითხი)
მარიამ ხომასურიძე (VIII საკითხი)
სალომე ვორონოვი (IX საკითხი)
პაატა ჩაგანავა (X, XI საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ქეთევან აფთარაშვილმა, ხოლო დამტკიცებული დღის წესრიგის V და VI საკითხების შემთხვევაში - ციური დურულმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - "ევროპისმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
7. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
8. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
9. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

11. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - “ევროპისმცოდნეობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - “ევროპისმცოდნეობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
7. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
8. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
9. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
11. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამა
პროგრამის დასახელება: მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მასობრივი კომუნიკაცია 0321;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა მზია წიკლაურმა.
თვითაცილებების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა აქამდე გასცემდა "სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის" ხარისხს და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ გასცემს - „მასობრივი კომუნიკაციის“ მაგისტრის ხარისხს. პირველ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა სამი რეკომენდაცია, მათ შორის, პროგრამის სახელწოდებასთან და სტრუქტურასთან დაკავშირებული, მაგრამ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხები, რომელიც სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფმა და სამივე რეკომენდაცია მოხსნა. პროგრამა სრულიად აკმაყოფილებს არაგეგმური მონიტორინგის პირობებში შეფასებული სამივე აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, ნინო შოშიტაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა გუნდს გაწეული შრომისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალთან დაკავშირებულ რჩევაზე. მას აინტერესებდა, ეს რჩევა იყო თუ რეკომენდაცია და რამდენად განვითარდებოდა პროგრამა ამ მოცემულობით.
მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის მხოლოდ რჩევა, რადგან პროგრამაზე არის დარგის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე 3 პერსონალი, ხოლო დანარჩენი - მაგისტრის. ვინაიდან პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია მედია პროდუქტის შექმნაზე და არა კვლევით კომპონენტზე, მსჯელობის საფუძველზე დადგინდა, რომ ეს მოცემულობა არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს პროგრამისთვის, თუმცა სასურველია მომავალში პროგრამას ჰყავდეს ერთით მეტი დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი.
ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ ამ რჩევის გათვალისწინება მიზანშეწონილად ჩათვალა უნივერსიტეტმა და ამასთან დაკავშირებით უკვე გადაიდგა ნაბიჯები. ვებგვერდზე უკვე გამოცხადებულია კონკურსი 7 საშტატო ერთეულზე, მათ შორის 2 პროფესორზე.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ, როცა ვებგვერდზე განთავსებული ბმული იყო ძველი. მას აინტერესებდა, რამდენად არის ის რეკომენდაცია და არა რჩევა.
მაგდა მემანიშვილმა განმარტა რეკომენდაციის გაცემის მიზეზი, რომ ვებგვერდზე შემორჩენილი იყო ძველი ინფორმაცია და სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტებს შესაძლოა მიეღოთ მცდარი ინფორმაცია.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა კითვით მიმართა ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ დასკვნის პირველ ვერსიაში გაცემულია რეკომენდაცია, გამომდინარე იქიდან, რომ კლასიფიკატორი ერთმანეთისგან განასხვავებს საზოგადოებასთან ურთიერთობას და მასობრივ კომუნიკაციას, შესაბამისად, საუბარი იყო სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით და ნაცვლად „მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სახელწოდებისა ჩამოყალიბებულიყო „მასობრივი კომუნიკაცია“. მას აინტერესებდა ექსპერტთა პოზიცია, სახელწოდების ცვლილების საკითხის აქტუალურობასთან დაკავშირებით.
მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ ექსპერტებმა ცენტრთან კომუნიკაციის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ გაეცათ სახელწოდებასთან დაკავშირებით მსგავსი რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულებისგან მათ მიიღეს საკმაოდ მყარი არგუმენტი, რამაც გამოიწვია რეკომენდაციის მოხსნა. მასობრივი კომუნიკაციის სახეა საზოგადოებასთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო ითხოვს ამის განცალკევებას, მასობრივი კომუნიკაციის ხარისხის ადამიანები წარმატებით მუშაობენ “PR” კომპანიებში. საზოგადოებასთან ურთიერთობა არის მასობრივი კომუნიკაციის სახეობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მარკეტინგის ქოლგის ქვეშ ექცევა ხოლმე. შესაბამისად, თუ არ ჩავთვლით ჩარჩოს მოთხოვნებს, ბაზრის რეალობის და პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ სფეროების გამიჯვნა არ არის სწორი. ასევე, პროგრამა მულტიდისციპლინურია და გარდა წმინდა წყლის თეორიული ნაწილისა, აქტიურად ისწავლება მასობრივი კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა. პროგრამაზე მიღებული კომპეტენციებით კურსდამთავრებული თავისუფლად შეძლებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მუშაობას.
ქეთევან აფთარაშვილმა იკითხა, როცა პროგრამას სახელწოდებაში ორი განსხვავებული სფეროს კვალიფიკაციის სახელი რჩება, შეიძლება თუ არა ეს ჩაითვალოს მისაღებად.
მაგდა მემანიშვილმა დააზუსტა, რომ სხვა შემთხვევებში ეს შეიძლება არარელევანტური იყოს, თუმცა მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის შემთხვევაში ამ მიდგომის გამოყენება სწორია და ეყრდნობა შრომის ბაზრის მრავალწლიან ტენდენციებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შექმნისას, 2016 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობა ცალკე არ იყო გამოყოფილი და მასობრივი კომუნიკაციასთან ერთად ერთი ქოლგის ქვეს იყო მოქცეული. დღეს კვალიფიკაცია სხვადასხვაა, თუმცა

პროგრამის ორიენტირი და ის უნარები, რომლითაც სტუდენტები გადიან ბაზარზე, სწორედაც საზოგადოებასთან ურთიერთობაა. სახელწოდებაზე გავლენა მოახდინა პროგრამის ინტერდისციპლინურმა ხასიათმა და დასაქმების ბაზარმა.
ქეთევან აფთარაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ როდესაც მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის ხარისხს ანიჭებს პროგრამა, სწავლის შედეგებში აუცილებლად უნდა იყოს აქცენტი გაკეთებული მასობრივ კომუნიკაციაზე.
მაგდა მემანიშვილმა დაამატა, რომ “PR” სამსახურებში ხშირად დასაქმებულს სჭირდება მედია-პროდუქტის შექმნა და კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, მასობრივი კომუნიკაციების ხარისხის მქონე ადამიანს უნდა ჰქონდეს ეს კომპეტენცია.
ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ასწავლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პერსონალი. მას აინტერესებდა, რაიმე მექანიზმი თუ იყო უნივერსიტეტში დანერგილი, რითიც ეს რეგულირდება და კონტროლდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ შემთხვევაში ეს არის ტექნიკური კლასის კურსი „რადიომაუწყებლობა“ და რაც შეეხება „მედია სამართალსა“ და „დეონტოლოგიას“, მათ კითხულობს ასოცირებული პროფესორი, რომელსაც უდიდესი პროფესიული გამოცდილება აქვს ჟურნალისტიკის მიმართულებით, ხოლო მისი ხარისხი მაგისტრის ხარისხთან არის გათანაბრებული. დაწესებულების წარმომადგენელმა, მოგელი შენგელიამ დააზუსტა, რომ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სამსახური შესაბამისი კრიტერიუმებით ახდენს პერსონალის აყვანას და ეს საკითხი რეგულირებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:28
დასრულების დრო: 17:59

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

ქეთევან აფთარაშვილმა მიმართა დაწესებულებას პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით და სთხოვა, რომ არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრისა, ცენტრს ცნობად მიეწოდოს ინფორმაცია პროგრამის სახელწოდების ცვლილების შესახებ, რაც დაწესებულებამ მისაღბად მიიჩნია.

მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ევროპისმცოდნეობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0388 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს: თეა მჭედლურმა და ნარგულ ასანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
ექსპერტმა ირაკლი ჩხაიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის სწორად და საინტერესოდ აგებული. ის ფარავს სწავლის მიზნებით განსაზღვრულ კომპეტენციებს. ექსპერტებს ჰქონდათ 2

რეკომენდაცია, რომელიც სრულად იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ. ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსების სრულყოფის საკითხს და ახალი პაკეტი უკვე ფარავს ექსპერტთა შენიშვნებს, რაც წარმოდგენილი იყო არგუმენტირებულ პოზიციაში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირაკლი გორგილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა რომ რეკომენდაციები გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 15:58

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - “ევროპისმცოდნეობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ევროპისმცოდნეობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0388 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა ირაკლი ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ზოგადი შეფასება არის დადებითი. პროგრამა ფარავს განსაზღვრულ მოთხოვნებსა და კომპეტენციებს. აღინიშნა, რომ იყო რეკომენდაცია სილაბუსებში ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებით, როცა სილაბუსებში არ იყო მითითებული ლიტერატურის გვერდები. საპასუხოდ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტებს მიმართა თხოვნით, რომ ექსპერტთა ჯგუფს განეხილა რეკომენდაციის რჩევად ფორმულირება. თხოვნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტების აზრით ეს შესასრულებელი საკითხია, თუმცა საბაკალავრო პროგრამის პირობებში ჯგუფი დათანხმდა რჩევის სახით ფორმულირებაზე.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა პოზიციას. ასევე ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტმა სასწავლო მასალის დამუშავებისას უნდა გამოიმუშაოს წიგნზე მუშაობის ტექნიკა, აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ ზედმეტად და არარელევანტურად მიიჩნია გვერდების მიხედვით სასწავლო მასალის დაკონკრეტება. აკრედიტაციის საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვის შემდეგ, ივანე ჯაგოდნიშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულება მომავალში იმსჯელებს ამ რჩევის შესრულებაზე და ქეთევან აფთარაშვილის ჩაკითხვის შემდეგ, ასევე დაადასტურა, რომ სასწავლო მასალების დასახელებები სრულად არის მითითებული სილაბუსებში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:03
დასრულების დრო: 16:12

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - "ევროპისმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ევროპისმცოდნეობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0388 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა ირაკლი ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა 2 რეკომენდაცია. ერთი ეხებოდა სილაბუსებში ლიტერატურის გვერდების მითითების საკითხს. არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის შემდეგ ეს რეკომენდაცია ფორმულირდა რჩევის სახით. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო სილაბუსებში ლიტერატურის მრავალფეროვნებას. მოცემული სამაგისტრო პროგრამა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით არის ინტერდისციპლინური დარგი და ზოგიერთ შემთხვევაში მითითებული იყო მხოლოდ ორი ერთეული ლიტერატურა. უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული ლიტერატურა სრულად ფარავს პროგრამის კვალიფიკაციას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია რეკომენდაციის ძალაში დატოვება სამაგისტრო საფეხურის ხასიათისა და დარგის კომპლექსურობის გათვალისწინებით. ზოგიერთი სილაბუსი საჭიროებს სასწავლო ლიტერატურის გამრავალფეროვნებას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ივანე ჯაგოდნიშვილმა დაადასტურა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში იკვეთება ძირითადი ლიტერატურის სიმწირე. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა არის სამაგისტრო საფეხურის და უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტს მიაწოდოს დარგში არსებული უახლესი ცოდნა, ხშირად ვერ ხერხდება დარგის დინამიკის მიხედვით ახალი ქართულენოვანი სასწავლო თუ სამეცნიერო ლიტერატურის განახლება და სტუდენტებისთვის შეთავაზება, თუმცა არსებული მდგომარეობით, კურსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა სრულად ფარავს სასწავლო მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნას. ქეთევან აფთარაშვილის დამაზუსტებელი კითხვის შემდეგ, ირაკლი ჩხაიძემ ხაზი გაუსვა, რომ ზოგიერთ სილაბუსში არ ჩანდა სწავლების შინაარსი და მიზნები, რაც გახდა რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ივანე ჯაგოდნიშვილმა დაამატა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარადგინა პროგრამის სილაბუსები, სადაც გვერდების მითითებით არის მითითებული სასწავლო ლიტერატურა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:21
დასრულების დრო: 16:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - "ევროპისმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ევროპისმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სახვითი ხელოვნება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სახვითი ხელოვნების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0213 სახვითი ხელოვნება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0213 სახვითი ხელოვნება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 40;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს: ქეთევან აფთარაშვილმა, ბონდო გასვიანმა და თამარ ზარანდიამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა V და VI საკითხების ერთად განხილვა, რადგან ორივე საკითხი წარმოადგენს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს და ორივე ანგარიში შეაფასა ერთმა ექსპერტმა.
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, V და VI საკითხების განხილვას გაუძღვა საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით განსაზღვრული წევრი - ციური დურული.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავიანთი პოზიციები.
ობიექტური გარემოებების გამო ექსპერტი არ ესწრებოდა საკითხის განხილვას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს ხელოვნების კლასტერის ნაწილს. კლასტერში 5 პროგრამა იყო წარმოდგენილი, საიდანაც 2 პროგრამას მიენიჭა სრული აკრედიტაცია, ხოლო სამ პროგრამას - ერთწლიანი ანგარიში. რეკომენდაციების დიდი ნაწილი იყო კლასტერული ხასიათის. ძირითადი რეკომენდაცია ექსპერტთა მხრიდან იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება და განახლება. დაწესებულების მიერ წარდგენილ ანგარიშში დეტალურად არის მოცემული თუ როგორ ხდება ამ ბაზის შევსება ბოლო 1 წლის განმავლობაში. ამის შედეგ ექსპერტმა დაკმაყოფილებულად მიიჩნია აღნიშნული რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად

დაუკმაყოფილებელი რეკომენდაცია არ დარჩენილა. დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის მიმართ ერთწლიანი ანგარიში ძირითადად იმ ფაქტმა განაპირობა, რომ მისი აკრედიტაციის მომენტისთვის სადოქტორო ნაშრომების დაცვის დინამიკა იყო დაბალი, ეს კი გამოწვეული იყო პანდემიური პერიოდით, როცა სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ნაშრომებზე მუშაობისას წვდომა ჰქონოდათ ხელოვნების მატერიალურ ძეგლებზე, თუმცა ამჟამად დაწესებულება უბრუნდება პანდემიამდელ მოცემულობას. მაგალითად, მიმდინარე სემესტრში ორმა დოქტორანტმა გადასცა განსახილველად თავისი დისერტაცია.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირინა ლობჟანიძემ დაწესებულებას კითხვით მიმართა დარგობრივი ინგლისური ენის კურსების სავალდებულო კურსებად დამატების და აკადემიურ წერის არჩევით კურსად დამატების შესახებ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით. ასევე, ხაზი გაუსვა ნაშრომების აკადემიური სტილით გაფორმებასთან დაკავშირებულ წამოჭრილ პრობლემატიკაზე. მას აინტერესებდა რამ გამოიწვია აღნიშნული რჩევების გაცემა.
დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ ეს რჩევა დაწესებულებამ მიიღო როგორც რეკომენდაცია და დაამატეს კურსი „აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი“. დარგობრივი ინგლისურის რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამაგისტრო საფეხურზე დაწესებულებას აქვს 2-საფეხურიანი უცხო ენის კურსი, რადგან უნივერსიტეტში სტუდენტი შემოდის B1 დონის ევროპული ენის ცოდნით და მას ეძლევა რამდენიმე გზა აიმაღლოს და დაადასტუროს კომპეტენცია B2 დონემდე. პირველი გზა არის სასწავლო კურსი, მეორე გზა არის ინსტიტუციური გამოცდა და მესამე არის საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვება. შესაბამისად, პროგრამაზე არ არის უცხო ენის კურსის სავალდებულო საგნად დამატების აუცილებლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:47
დასრულების დრო: 16:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240;

მერვე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მევენახეობა და მეღვინეობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მევენახეობა და მეღვინეობის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0888 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობას, ვეტერინარიას
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 50;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ნანობაშვილმა, მაქსიმ იავიჩმა და მზია წიკლაურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა VII და VIII საკითხების ერთად განხილვა, რადგან ორივე საკითხი წარმოადგენს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე და მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავიანთი პოზიციები.
მარიამ ხომასურიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მოიცავდა ღვინის ლაბორატორიის დამატებით აღჭურვასა და გადაიარაღებას. ვინაიდან ეს არის სადოქტორო პროგრამა, ლოგიკურია, რომ მევენახეობა-მეღვინეობა საკმაოდ დინამიურად განვითარებადი დარგია და საჭიროებს უახლეს აპარატურას. ამ რეკომენდაციის თანახმად დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია, სადაც მითითებულია, რომ დაწესებულებამ შეიძინა მაღალი რეზოლუციის თხევადი ქრომატოგრაფი. ასევე, ჩატარდა გარკვეული ღონისძიებები აკადემიურ პერსონალს შორის აპარატზე მუშაობის უნარების გასაუმჯობესებლად და ამ ტრენინგ-პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური პერსონალი. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური პერსონალის უნარების გაუმჯობესებას და აღინიშნა, რომ დაწესებულებას ამ კუთხით მუშაობა უკვე დაწყებული აქვს. დოქტორანტთა სავალდებულო მობილობის დაკავშირებული რეკომენდაციის მიმართებით ექსპერტმა განმარტა, რომ არ არის აუცილებელი აღნიშნულის გათვალისწინება, რადგან მიუღებელია სტუდენტი დაწესებულებამ იძულებით გაუშვას გაცვლითი პროგრამით უცხოეთში. ასევე, ექსპერტის აზრით, არაფერი იყო შესაცვლელი პროგრამის კურიკულუმის სწავლის შედეგების მიღწევის რუკაში და ის არის დამაკმაყოფილებელი. ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ სულ სამი რეკომენდაცია გაიცა და დაწესებულებამ 2 მათგანი გაითვალისწინა. უნივერსიტეტმა შეიძინა და დაამონტაჟა ქრომატოგრაფი, რომელიც საჭირო აღჭურვილობაა დოქტორანტთა კვლევებისთვის. ასევე აქტიურად მიმდინარეობს ტრენინგები როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ყოველწლიურად ხდება სასწალო გეგმის გადახედვა და სამიზნე ნიშნულების გაანალიზება. შესაბამისად, დაწესებულება უსაფუძვლოდ მიიჩნევს ამ რეკომენდაციას და ამის შესახებ აღნიშნა ანგარიშში. მან ექსპერტს მადლობა გადაუხადა დაწესებულების პოზიციის გაზიარებისთვის. ასევე, რჩევის საფუძველზე, პროგრამის სასწავლო კომპონენტი შემცირდა 60 კრედიტიდან 40 კრედიტამდე. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ კანცლერის რეზოლუციით არსებობს დათქმა, რომ

ხელმძღვანელის არგუმენტირების საფუძველზე დოქტორანტებს უნივერსიტეტში 1 სემესტრით უფინანსდებათ კვლევა უცხოეთის რელევანტურ დაწესებულებაში. ეს ფაქტი დოკუმენტაციაში იყო ასახული და შესაბამისად, საკითხი რჩევასაც კი არ უნდა წარმოადგენდეს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:12
დასრულების დრო: 17:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეცხრე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსი
საფეხური: ერთსაფეხურიანი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0912 - მედიცინა;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 360;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავიანთი პოზიციები.
სალომე ვორონოვმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცემული იყო 4 რეკომენდაცია და 13 რჩევა. დაწესებულების მხრიდან სრულად იყო გათვალისწინებული ყველა რეკომენდაცია და რჩევათა უმრავლესობა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანა გვრიტიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გათვალისწინებულია.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:21
დასრულების დრო: 17:22

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეათე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

მეთერთმეტე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

პროგრამა 1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სასტუმროს მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სასტუმროს მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1019 პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ციური დურულმა და თეა მჭედლურმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა X და XI საკითხების ერთად განხილვა, რადგან ორივე საკითხი წარმოადგენს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს და ორივე ანგარიში შეაფასა ერთმა ექსპერტმა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეათე და მეთერთმეტე საკითხების ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავიანთი პოზიციები.
დაწესებულებამ იმუშავა „სასტუმროს მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის. წარმოადგინა სტრატეგია, განახლებული სილაბუსები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები და, შესაბამისად, ექსპერტი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა სრულად შეასრულა ყველა რეკომენდაცია. „სასტუმროს მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამისთვის კი გაცემული იყო სულ 3 რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ შეასრულა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ლევან მიდოდაშვილმა გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა ექსპერტს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:47
დასრულების დრო: 16:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 11 ივლისს 17:29 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან